8
603ა/11152

SOS! დაფიქრდით, ხალხო, შეაჩერეთ მოძალადეები!

საქართველოში მიწის რეფორმის მისასალმებელი პროცესი ბევრგან განუკითხაობაში გადაიზარდა. რედაქციაში შედის შემაშფოთებელი ცნობები იმის შესახებ, რომ ბევრ რეგიონში მოსახლეობა პირადი ინიციატივით იტაცებს და ანადგურებს საფეხბურთო თუ სხვა სპორტულ მოედნებს, მოითხოვს მიტაცებული ფართობის დაკანონებას მხოლოდ იმიტომ, რომ სპორტული მოედანი მის საკარმიდამოსთან ახლოსაა.

თუ დროულად არ ჩატარდა ამკრძალავი ღონისძიებები და ისევე ბარბაროსულად მოვეპყრობით სოფლებში სპორტულ მოედნებს, როგორც 20-იან წლებში სალოცავებს, შთამომავლობა შეგვაჩვენებს. სპორტული მოედანი, სადაც უნდა იყოს იგი, ჩვენი ახალგაზრდობის არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ სულიერი აღზრდის ადგილიცაა. სად უნდა ჩამოყალიბდეს მოზარდებში თანადგომის, ერთსულოვნების, გამარჯვებისკენ სწრაფვისა და მიზნის მიღწევის თვისებები, სად უნდა გამომუშავდეს მოზარდში ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის ისეთი აუცილებელი რამ, როგორიცაა ძალა, მოქნილობა, სიმარჯვე, ამტანობა, სიმედგრე, მოხერხებულობა, გამჭრიახობა, სიტუაციაში სწრაფი გარკვევის უნარი, თუ არა ისევ და ისევ სპორტულ სარბიელზე თანატოლებთან ერთად?

დავფიქრდეთ ხალხო, დავფიქრდეთ ყველა, ვისაც ამ პრობლემის დაუყოვნებლივ მოწესრიგება, სადირექტივო მითითების გაცემა ევალება.

დაბოლოს, სორტული სარბიელი ჩვენი საერთო კულტურის განუყოფელი ნაწილია, ჩვენი ეროვნული გენის, სულისკვეთების და მისწრაფების ფორმირების, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების ჯანმრთელობის გაკაჟების კერაა.

ნუ დაგვავიწყდება — ხალხის ჯანმრთელობა ერის ყველაზე ძვირფასი საგანძურია.

დავფიქრდეთ, რას ვკარგავთ და რას ვიძენთ ასეთი განუკითხაობით!

„ლელოს“ რედაქცია, მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების სრულიად საქართველოს ასოციაცია

ლელო

2 დეკემბერი, ოთხშაბათი, 1992 წ.
№ 78 (10780) ● ფასი 8 მან.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მარჯი საქართველოს!

ფურორი გერმანიაში

განათლების სამინისტროს სპორტსაზოგადოება „მართვეს“ ძიუდოისტთა სპორტული კლუბის „მართვე-21“-ის ნაკრები გერმანიიდან დაბრუნდა. გრენზაჰ-ვილენში გაიმართა ევროპის გუნდური საკლუბო პირველობა. 8 ქვეყნის 61 გუნდს შორის საქართველოს გოგონათა და ვაჟთა ერთობლივმა ნაკრებმა პირველი ადგილი დაიკავა. მეორე იყო გერმანიის „ელსდორფი“, მესამე — შვეიცარიის „სტრაუსბერგი“.

ქართველებთან შესახვედრად მასპინძლებმა იქვე შეადგინეს გერმანიის საკლუბო გუნდების ნაკრები, ჩვენმა ძიუდოისტებმა აქაც გაიმარჯვეს 7:1, ეს ნამდვილი ფურორი იყო.

საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: ზაზა და ჯონდო დაბრუნდაშვილები, თამაზ ცოფურაშვილი, ალექსანდრე ღვინიაშვილი, გერასიმე ხაბულიანი, ნინო ქუცნიაშვილი, ლიანა სუბელიანი, ნათელა აბუსერიძე და ნინო დონღუზაშვილი (მწვრთნელი ვახტანგ კბილაშვილი).

ვულოცავთ!

საქართველოს ჩემპიონატი ფეხბურთში

გამოტოვებული მატჩები

II ტური: „ალაზანი“ (გურჯაანი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი) 3:0.

IX ტური: „გურია“ (ლანჩხუთი) — „ოდიში“ (ზუგდიდი) 3:0.

X ტური: „კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „ოდიში“ (ზუგდიდი) 2:2.

ბავშვები — სპორტს!

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით ტარდება მხატვარ ბავშვთა მსოფლიო შეჯიბრება დევიზით — „ოლიმპიური თამაშები“. ეს ღონისძიება ჩვენთანაც გაიმართება. შეჯიბრებაში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ყველა ბავშვს: 6-დან 16 წლამდე. გამოკვეთილია სამი ასაკობრივი ჯგუფი: პირველი — 6-დან 8 წლამდე, მეორე — 9-დან 11 წლამდე და მესამე — 12-დან 16 წლამდე. ნახატების ზომა შეზღუდულია (2X35 სმ). შესრულების ტექნიკა და მასალა თავისუფალია. ყოველი ნამუშევრის უკანა მხარეს უნდა იყოს მითითებული გვარი, სახელი, ასაკი, ავტორის ზუსტი მისამართი (საფოსტო ინდექსის ჩვენებით) და ნამუშევრის სახელწოდება. ყოველ ასაკობრივ ჯგუფში დაჯილდოვდება 10 საუკეთესო ავტორი, მათი ნახატები კი გაიგზავნება ქ. ლოზანაში (შვეიცარია) მსოფლიოს ბავშვთა სამხატვრო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად.

ნახატების მიღება—1993 წლის 15 იანვრამდე.

მისამართი: თბილისი, 380005, შავთელის ქ. 17-ა.

ბავშვთა სურათების გალერეა.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი,

საქართველოს ბავშვთა სურათების გალერეა

კახი კახიაშვილი პეკინში

გუშინ თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრა ბარსელონაში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი კახი კახიაშვილი. იგი მოსკოვიდან ოლიმპიადებისა და მსოფლიოს სხვა ჩემპიონებთან ერთად გაფრინდება პეკინს, სადაც 5 დეკემბერს ძალოსანთა მსოფლიო თასის გათამაშებაში ჩაებმება.

◆

ამასაც მოვესწარით — სამბისტები გაძარცვეს

მინსკში სამბისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების გამგზავრება სათუო გახდა საჰაერო მიმოსვლის პრობლემების გამო. გადაწყდა, ჩვენი სპორტსმენები ავტობუსით ჩავიდოდნენ ბაქოში და იქიდან გაფრინდებოდნენ მინსკში. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ყაჩაღების ჯგუფმა ავტობუსი გააჩერა და ყველა სპორტსმენი ჰკრწმინდად გაძარცვა. რის ვაივაგლახით ნაკრები მინსკში მაინც გაფრენილა.

◆

სამი გუნდით

4-6 დეკემბერს მინსკში გაიმართება ევროპის მორიგი ჩემპიონატი სამბოში ჭაბუკთა, იუნიორებსა და მოზრდილთა შორის, რომელშიც მოელიან 30-მდე ქვეყნის ათლეტთა მონაწილეობას.

საქართველო ამ ჩემპიონატში წარდგება სამი გუნდით. მოზრდილთა ნაკრები დაკომპლექტდა მსოფლიოს, ევროპისა და საქართველოს ჩემპიონებითა და პრიზიორებით. ესენი არიან (წონითი კატეგორიების მიხედვით): პაატა ლეკვეიშვილი, მევლუდ მელაძე, გოჩა მეკოკიშვილი, მურთაზ თურქია, არჩილ ჩოხელი, არჩილ ბიძინაშვილი, ბესიკ ერაშვილი, ფრიდონ ყვავილაშვილი, ვეფხია კაპანაძე, კობა კუპატაძე. ასევე უძლიერესი სამბისტებია თავმოყრილი საქართველოს ჭაბუკთა და იუნიორთა გუნდებში.

ახლა იოსელიანი—პოლგარი

დაგვიბრუნე გვირგვინი, ნანა!

შუნხაიდან დაბრუნებისთანავე ჩვენმა კორესპონდენტმა ინტერვიუ სთხოვა ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონობის ერთადერთ პრეტენდენტს საქართველოდან დიდოსტატ ნანა იოსელიანს.

● ქალბატონო ნანა! რედაქციისა და საქართველოს სპორტის მოყვარულთა სახელით გილოცავთ წარმატებას.

— დიდი მადლობა!

● რით დაიწყებთ საუბარს?

— უიღბლო სტარტი მქონდა: ჯერ იყო და, არ შედგა I ტურის პარტია ნონა გაფრინდაშვილის ავადმყოფობის გამო, მეორე ტურში მაია ჩიბურდანიძესთან დაზავება ვარჩიე. ჩინელ მოჭადრაკეებთან, საერთოდ, უარყოფითი ბალანსი მქონდა და ახლაც, მესამე ტურში, პენგთან წავაგე, შემდეგ კი — მარცხი უნგრელ ჟუჟა პოლგართან. ნონასთან გამოტოვებული პარტიის ჩემს სასარგებლოდ დამთავრების შემდეგ ჩინელ ცინს თითქმის მოგებული პარტია „ჩავაბარე“ — უკეთეს პოზიციაში გამარჯვებას ვერ „მივაგენი“. ვატყობდი, საკმაოდ ცუდ სპორტულ ფორმაში ვიყავით თბილისელები — როდესაც მივემგზავრებოდით, თან მიგვყვებოდა რესპუბლიკაში შექმნილ ვითარებაზე ფიქრი. მერე თანდათან მოვიკრიბეთ ძალა, მე და მაიამ პირველი წრე ქულათა 50-50 პროცენტით დავამთავრეთ.

მეორე წრის 8 შეხვედრა სამივემ გაცილებით უკეთ ჩავატარეთ. საბოლოოდ, მე და მაიამ 9,5-9,5 ქულით გავიყავით II-III ადგილები, მაგრამ მე უკეთესი კოეფიციენტი აღმომაჩნდა, რამაც ახლანდელ მსოფლიო ჩემპიონთან ჩინელ სიე ჯუნთან თამაშის უფლებისათვის პოლგართან მატჩის საგზური მარგუნა.

რაც შეეხება გამოსაყოფ პარტიებს, ეს იყო შეხვედრები ამერიკელ ირინა ლევიტინასთან ორივე წრეში და იუგოსლაველ ალისა მარიჩთან მეორეში. ირინასთან მეორე მოგება მაძლევდა შემდეგ ეტაპზე ბრძოლის გაგრძელების შანსს და მიზანსაც მივაღწიე.

● რას იტყოდით ნონასა და მაიას თამაშზე?

— მაიაზე უკვე ვთქვი, მაგრამ დავუმატებ, რომ იგი არ გავდა იმ მაიას, რომელიც მე წინა წლებში მინახავს — მას აშკარად არ ეყო შესარჩევი ტურნირის გამოცდილება, — მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონისთვის შანხაის ასპარეზობა ხომ პირველი შესარჩევი შეჯიბრება იყო. არადა, იგი სულ ახლოს გახლდათ მიზანთან. მიაღწევდა კიდეც, ბოლო ორ შეხვედრაში დაზავება რომ არ ერჩია. რაც შეეხება ნონას, მას ზოგ შეხვედრაში შესანიშნავი პოზიცია ჰქონდა და დასანან პარტიებს აგებდა. ეტყობა, ავადმყოფობამ თავისი დაღი დაასვა.

● იქნებ მოგვაგონოთ ამ რანგის ასპარეზობებში თქვენი ადრინდელი გამოსვლები.

— 1979 წლიდან ჩავერთე მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლებში. ორჯერ მოვიგე საზონათშორისო ტურნირი, ერთხელ პრეტენდენტთა ფინალურ ასპარეზობაში გამოვდიოდი, 1988 წელს კი თელავში მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის შევხვდი ამ ტიტულის მფლობელ მაიას და მან „დამათმობინა“ ბრძოლა — 7,5:8,5. ვნახოთ, რას მომიტანს მორიგი ცდა.

● რამდენადაც ვიცით, ფინალური მატჩი ნავარაუდევი იყო მადრიდში, იანვარში, მაგრამ უკანასკ-

იხ. მე-3 გვ.

პრობლემაზე საუბარი გრძელდება

„ლელოს“ წინა ნომერში გამოქვეყნდა რეპორტაჟი მძლეოსნობის ფედერაციის სხდომიდან („იმედი აქვთ, საქმე სასამართლომდე არ მივა“). მსჯელობა ეხებოდა „დინამოს“ სტადიონის სათადარიგო მოედანზე ფეხბურთელთათვის ხელოვნური საფარის დაგების საკითხს, რაც, მძლეოსნობის სპეციალისტთა აზრით, გამორიცხავს რესპუბლიკაში ტყორცნებში შეჯიბრების ჩატარებას.

დღეს საუბარი ამ თემაზე საქართველოს სპორტკომიტეტში გაგრძელდება.

ბანკი „ბაგები“

„იბერიაბანკის“ ეს ფილიალი ძირითადად მოემსახურება ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს

უდავოდ კარგი გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობამ, როცა ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციებისთვის „იბერიაბანკის“ ფილიალის გახსნის იდეა წამოაყენა და საქმე ბოლომდე მიიყვანა. ბანკი „ბაგები“ უკვე მუშაობას შეუდგა. მისამართია: თბილისი, ჭავჭავაძის, 80. ტელეფონები: 29-21-79, 29-40-59, 29-40-15. ბანკი „ბაგები“ ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს შეღავათით მოემსახურება. „ბაგები“ გახსნის, როგორც სამანეთო, ისე სავალუტო ანგარიშებს. ცხადია, ბანკის მომსახურებით სხვა ორგანიზაციებსაც შეუძლიათ ისარგებლონ.

ვახტანგ ქარსელაძის მემორიალი

ვახტანგ ქარსელაძის ტრადიციულ წლევანდელ საერთაშორისო მემორიალში 16 წლამდე ასაკის გოგოები და ჭაბუკები ასპარეზობენ თბილისის ჭადრაკის სასახლეში. ამჯერად, გასაგებ მიზეზთა გამო მხოლოდ აზერბაიჯანის, სომხეთისა და მასპინძელთა სპორტსმენები ცდიან ძალებს. გათამაშდა 6 ტური. 12 გოგონას შორის უდანაკარგოდ დაწინაურდა ფიდეს ოსტატი მაია ლომინეიშვილი, იგი ქულით ასწრებს ლილე ცალუღელაშვილს.

ჭაბუკთა შეჯიბრებაში მეექვსე ტურამდე მინიმალური დანაკარგით მიდიოდა ერევნელი მოსწავლე ვაგენ მირუმიანი, VI ტურში მას აჯობა ბათუმელმა კახა კვიჟინაძემ, ამასობაში თბილისელმა სერგო მოვსესიანმა სძლია მეორე ერევნელს გიორგი არზუმანიანს და 5 ქულით ხულთ იგდო ლიდერობა.

თანდათან ასწორებს მდგომარეობას 12 წლამდე ბიჭებს შორის მსოფლიო ჩემპიონი გიორგი ბახტაძე. გიორგის ახლა 3,5 ქულა აქვს.

სურათზე: ვახტანგ ქარსელაძის მემორიალზე.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

წინადადება

ყველამ ვიზრუნოთ მოსახლეობის სამხედრო და ფიზიკურ მომზადებაზე

სამაჩაბლოში და აფხაზეთში შექმნილმა ვითარებამ სხვა მნიშვნელოვან პრობლემებთან ერთად დაგვანახვა თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო ახალგაზრდობის, მთლიანად მოსახლეობის სამხედრო და ფიზიკურ მომზადებას.

ჯერ კიდევ ყოფილი საბჭოთა კავშირის შექმნის პირველსავე წლებში, 1918 წელს, მთავარ სამხედრო კომიტეტთან შეიქმნა საყოველთაო სამხედრო სწავლების მთავარი სამმართველო „ვსევობუჩი".

მოგვიანებით, 1931 წელს, შემოიღეს ერთიანი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის", რომელიც გაყალბდა.

იმდროინდელ სამხედრო კომისარიატებში წვევამდელების ფიზიკურ მომზადებაში შერჩევითი შემოწმების დროს ახალგაზრდობის 90 პროცენტი ვერ ასრულებდა კომპლექსის მოთხოვნებს, განსაკუთრებით ცურვაში, სროლაში, ხელყუმბარის ტყორცნაში, ღერზე მიზიდვაში, რბენაში და ა. შ. ყველას კარგად გვახსოვს, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ქერჩში ცურვის უცოდინარობის გამო ათასობით ქართველი მეომარი დაიღუპა.

დღესაც ცურვის მასობრივ შესწავლას ნაკლები ყურადღება ექცევა. საცურაო აუზებისა და სასროლო ტირების მშენებლობაში კვლავ ჩამოვრჩებით.

რამდენიმე სიტყვა სასწავლებლებში ფიზიკური მომზადების შესახებ.

ფინეთში, მაგალითად სკოლებში სპორტული დღესასწაულები წელიწადში ორჯერ ეწყობა. მოსწავლეთა ფიზიკური მომზადება მოწმდება სპეციალური ტესტებით. „ტრიმიადის" ნიშანზე ჩასაბარებლად — შვეციის სკოლებში სასწავლო წლის დასაწყისში და ბოლოს ეწყობა „სპორტული დღეები", რომელიც 6 დღეს მოიცავს.

იაპონიის მოსწავლე ახალგაზრდობის 60 პროცენტი სისტემატურად მეცადინეობს სხვადასხვა სპორტულ კლუბებში (8 საათი კვირაში). უფროს კლასებში სავალდებულოდ ითვლება 4-საათიანი მეცადინეობა კვირაში, სადაც ისწავლება სპეციალური დისციპლინები საერთო ფიზიკურ მომზადებაში, ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, ცურვაში, თამაშებში, სამხედროსპორტულ დისციპლინებში.

ფიზიკური კულტურა და სპორტი ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოადგენს თითოეული მოქალაქის ცხოვრების განუყოფელ ნაწილს, კარგად არის შეხამებული ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ- და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან. ფიზიკური აღზრდის აკადემიასთან შექმნილია უმაღლესი სასწავლებლების ტრადიციული სისტემა. დიპლომის მისაღებად სტუდენტმა უნდა მოაგროვოს 120 სასემესტრო და 180 მეოთხედური ქულა, ნიშნით არა ნაკლები „3"-ისა. მოთხოვნებში შედის ფიზიკური აღზრდის ორგანიზაციის 3 ძირითადი ფორმა:

1. მეცადინეობა ფაკულტატიურ ჯგუფებში სავალდებულო დასწრებით და განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებით;
2. მონაწილეობა პირადი სურვილით ნებისმიერ შეჯიბრებებში;
3. მეცადინეობა რომელიმე სპორტულ სექციაში ან გამაჯანსაღებელ ჯგუფში დამოუკიდებლად, ყოველგვარი მოთხოვნისა და ჩათვლების გარეშე.

უამრავი მაგალითის მოტანა შეიძლება იმის დასამტკიცებლად თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის ფიზიკურ მომზადებას.

დღეს, როდესაც ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა დამოუკიდებლობა, რაც შეიძლება სწრაფად უნდა მომზადდეს და პარლამენტს განსახილველად წარედგინოს პროექტი მოსახლეობის საყოველთაო სამხედრო და ფიზიკური მომზადების კონცეფციის შესახებ. ამ საქმეში შეიძლება დიდი და სასარგებლო მუშაობა გასწიონ საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტმა, ფიზიკური აღზრდის გამოცდილმა სპეციალისტებმა.

კონცეფციის პროექტი უნდა გამოქვეყნდეს „ლელოში". და ხალხი გამოეხმაუროს. თუ ძალდატანების გარეშე ადრინდელი ნაკლოვანებების გათვალისწინებით შევიმუშავებთ მოსახლეობის საყოველთაო სამხედრო ფიზიკური მომზადების ახალ დოკუმენტს, ამით მხოლოდ საქმე მოიგებს.

ბივი მძელური



სამი შეკითხვა ფედერაციების ხელმძღვანელებს

იწურება 1992 წლის სპორტული სეზონი. დადგა წარმატებების მითვლისა და წარუმატებლობის მიზეზების ანალიზის დრო. ერთი ცხადია, ქართული სპორტი დღესდღეობით ის ერთადერთი სფეროა, სადაც ჩვენი ქვეყანა უდიდესი ძალისხმევით კვლავ რჩება მსოფლიო სტანდარტების დონეზე.

„ლელოს" რედაქციამ სამი კითხვით მიმართა რესპუბლიკურ ფედერაციებს. დღეს გთავაზობთ პასუხებს სპორტის საწყლოსნო სახეობების კონფედერაციიდან და ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაციიდან.

1. როგორ აფასებთ 1992 წლის სპორტულ შედეგებს თქვენს სახეობაში?

2. რა უნდა გაკეთდეს, რომ 1993 წლიდან ქართული სპორტი უფრო მყარად დადგეს ფეხზე და იმრავლოს წარმატებებმა?

3. როგორ გესმით დღეს დევიზი: „მასობრიობიდან ოსტატობისკენ!", რით შეიძლება შეიცვალოს იგი. დადგა თუ არა დრო, გაიმიჯნოს მასობრივი და დიდი სპორტი?

ბივი ცქიტიშვილი: საქართველოს რესპუბლიკის სპორტის საწყლოსნო სახეობათა კონფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი:

1. თუ გავითვალისწინებთ იმას, რა მძიმე მდგომარეობაა რესპუბლიკაში, 1992 წლის შედეგები (ცურვა, წყალში ხტომა, სინქრონული ცურვა) უნდა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად. მთელი წელიწადია აუზები არ მუშაობენ, რადგან არ არის ცხელი წყალი. ენთუზიასტ მწვრთნელთა კეთილსინდისიერი მუშაობით მაინც არის მიღწევები. მაგალითად, ცურვაში 20 სპორტსმენი მომზადებულია ისე, რომ 1993 წელს მონაწილეობას მიიღებენ თურქეთში ევროპის პირველობაში და ჰოლანდიაში ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ დღეებში. წყალში ხტომაში გვყავდა ოლიმპიური თამაშების მონაწილე. მოდის საუკეთესო თაობა, რომელიც დაიცავს რესპუბლიკის ღირსებას 1993 წელს ევროპულ შეჯიბრებებში. სინქრონულ ცურვაში კი არიან სპორტსმენები, რომლებიც მომავალ წელს იასპარეზებენ ევროპის პირველობაზე.

2. სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს აუზების შეუფერხებელი მუშაობა. მათ ბაზაზე უნდა შეიქმნას სპორტკლუბები. მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. მოსაგვარებელია მწვრთნელთა ანაზღაურების საკითხი.

3. დევიზი „მასობრიობიდან ოსტატობისკენ" იყო და რჩება ძალაში. მხოლოდ ზოგიერთი სპორტის სახეობისთვის, მაგალითად, წყალში ხტომისათვის და სინქრონული ცურვისათვის არ არის აუცილებელი მასობრიობა თუ კონტინგენტის შერჩევა სწორად წარიმართება. ცურვა კი ისეთი სპორტის სახეობაა, ვფიქრობთ, აუცილებელია მასობრიობა. რითი უნდა შეიცვალოს მასობრიობა? ამ შეკითხვას, ალბათ, ნაწილობრივ № 2 შეკითხვის პასუხი მიესადაგება, აუცილებელია პროფესიული მიდგომა.

მასობრივი და დიდი სპორტი უნდა გაიმიჯნოს, ამას მტკიცება არ სჭირდება. ყველამ უნდა აკეთოს თავისი საქმე მაღალ პროფესიულ დონეზე.

რევაზ მანჯავიძე, — ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი:

1. 1992 წლის სპორტულ სეზონში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პირველ სამეულს, ხუთჭიდელთა შედეგები სხვა წლებთან შედარებით დაბალია. აღსანიშნავია, რომ მონაწილეთა რაოდენობა შემცირდა დაახლოებით 30 პროცენტით. დაბალი შედეგის მიზეზი ისაა, რომ რესპუბლიკაში საცურაო აუზები და სასროლეთები არარეგულარულად მუშაობენ.

ცხენოსნობაში კი სპორტულ შედეგებზე ლაპარაკიც ზედმეტია. თბილისში, მაგალითად, წლის განმავლობაში საკვები სპორტულ ცხენებს ეძლევათ რაციონის 40-50 პროცენტი. უფრო სავალალო მდგომარეობაშია დასავლეთ საქართველოს რეგიონების საცხენოსნო კლუბები. საკვების უქონლობის გამო უკვე დაიხურა სამი საცხენოსნო კლუბი. დარჩენილ კლუბებში შიმშილით ცხენების სიკვდილიანობის პროცენტი დიდია.

2. იმისათვის, რომ რესპუბლიკის მხედრებმა და ხუთჭიდელებმა მომავალში თავიანთი სიტყვა თქვან საერთაშორისო სარბიელზე, რესპუბლიკაში საერთო მდგომარეობის სტაბილიზაციასთან ერთად საჭიროა მთლიანი დაფინანსება, ნაკრები გუნდების მზადებისა და შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის.

3. ჩვენი სპორტის სახეობების სპეციფიკიდან გამომდინარე, ვთვლით, რომ მასობრიობაზე ლაპარაკიც ზედმეტია, მუშაობა უნდა წარიმართოს ვიწრო სპეციალიზაციით.



„ლელოს" ყოფილი რედაქტორი იგონებს

ფეხბურთის ტრფიალი

ფრიად კოლორიტული პიროვნება იყო გიორგი სიხარულიძე. იგი ორი ათეული წელი ხელმძღვანელობდა რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას. მის სახელთან დაკავშირებულია ჩვენი სპორტსმენების გამარჯვებანი საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე, ბევრი კეთილმოწყობილი ბაზის აგება, ნაკრები გუნდების შევსება პერსპექტიული ახალგაზრდებით. მის დროს ერთიორად ამაღლდა ქართული სპორტის ავტორიტეტი, ყოველდღიური გახდა გაზეთი „ლელო", განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სპორტის ხალხურ სახეობებს. რესპუბლიკაში დანერგილ ყველა სახეობას თანაბრად სწვდებოდა მისი ყურადღება, ყველა მწვრთნელი და სპორტსმენი გრძნობდა გიორგის მტკიცე ხელს სარბიელზე თუ პირად ცხოვრებაში.

მაგრამ ფეხბურთი მაინც განსაკუთრებით უყვარდა.

კაცი იყო, ფეხბურთის ტრფიალი! არც გაემტყუნება. თავის დროზე მას კარგი ფეხბურთელის სახელი ჰქონდა: თბილისის მელითონეთა გუნდში თამაშობდა ჰავბეკად ან, როგორც ახლა უწოდებენ, ნახევარმცველად. თბილისელი ქომაგები იცნობდნენ სწრაფ, მაღალტექნიკურ ფეხბურთელს სიხოს.

ასე შეუმოკლეს გვარი და დაარქვეს „სიხო" სკოლის ამხანაგებმა, მისმა ქომაგებმა, რომლებიც არასოდეს აცდენდნენ მატჩს გიორგის მონაწილეობით და ტრიბუნებს აყრუებდნენ შეძახილებით:

— სიხო! სიხო!..

რა დამავიწყებს 1964 წლის ნოემბერს! ტაშკენტში თბილისის „დინამომ" გადამწყვეტ მატჩში დიდი ანგარიშით დაამარცხა მოსკოვის „ტორპედო" და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მან უთანასწორო ბრძოლით განვლო რამდენიმე ათეული წელი, ჩახერგილი გზები გადალახა და საფეხბურთო პარნასზე მოიკალათა.

იმ დაუვიწყარი დღის შემდეგ კომიტეტში შევხვდი სიხარულიძეს. კარგ გუნებაზე იყო. ზამთრის მშენებარე აუზის დათვალიერება შემომთავაზა. მანქანაში დრო ვიხელთე და ტაშკენტის მატჩის შესახებ რამდენიმე შეკითხვა მივეცი. მაშინ მისი ნათქვამი სიტყვასიტყვით ჩავიწერე და ახლა, 38 წლის შემდეგ ვაქვეყნებ.

„— ამ გამარჯვებით ჩემი საქმიანობა სპორტში ამოვწურე. შური ვიძიეთ 1953 წლის სექტემბერში ჩვენი ბიჭების დაჩაგვრისათვის: მაშინ მოსკოვის „ტორპედოსთან" მოგებული გადამწყვეტი მატჩი არ ჩაგვითვალეს და ქვეყნის ჩემპიონის სახელი ხელიდან გამოგვგლიჯეს. შური ვიძიეთ 1960 წლის ნოემბერში უსინდისო მსაჯობის შედეგად წაგებული მატჩისათვის (თასის ფინალი მოსკოვის „ტორპედოსთან"). თითქოს სიმძიმე მომხსნეს ზურგიდან, თითქოს ახალგაზრდობა დამიბრუნდა, თითქოს მესმის ჩემი ძმაკაცების ყიჟინა: სიხო! სიხო!"..

ასე სენტიმენტალურად განწყობილი იგი ჯერ არ მენახა. ათი წელი ერთად ვმუშაობდით და მუდამ შემართული მოკამათე და მოჩხუბარი მახსოვს. ახლა კი... ალბათ, დაილალა სიხო... რასაკვირველია, მას საქმიანობაში ნაკლოვანებანიც ჰქონდა, შეიძლება ბევრიც, მაგრამ, მოდით სამართლის სასწორზე შევაგდოთ ადამიანის ნაკლი და კეთილი საქმე, რომელიც გადაწონის, იმის მიხედვით ვიმსჯელოთ. მე მტკიცედ მწამს, რომ სპორტში მისი კეთილი საქმენი გადაამეტებს. ამიტომ მინდა მოგითხროთ ორ შემთხვევაზე, რომლებიც მის პატრიოტულ სულსა და შეუპოვარ ხასიათზე ღაღადებს.

ქერჩის ტრაგედია

დილით სახელმწიფო მწვრთნელმა საწყლოსნო სპორტის სახეობებში ნესტორ მუსასტიკოვმა გიორგი სიხარულიძეს წინ დაუდო საბუთებით სავსე საქაღალდე.

— რა არის ეს? — იკითხა მან.

წელს, 10 ოქტომბერს, რესპუბლიკის მოცურავეთა ნაკრები სვერდლოვსკში უნდა გაემგზავროს საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად. იქ უნდა ჩავიდეთ 7 დღით ადრე აკლიმატიზაციისა და შეჯიბრებებისწინა ვარჯიშისთვის.

გიორგი სიხარულიძემ დიდხანს ქექა წარმოდგენილი საბუთები, ძალიან დიდხანს, მე ისე მომეჩვენა, რომ სიბრაზის სიწითლე მოეძალა სახეზე. მერე მისთვის დამახასიათებელი მკვეთრი მოძრაობით პატარა ქაღალდი აიღო, ზედ რაღაც დაწერა და საქაღალდეში ჩადო. სახელმწიფო მწვრთნელს სულმა წასძლია, ვიდრე კაბინეტიდან გავიდოდა, რეზოლუციის შინაარსის გასაგებად გადაშალა საქაღალდე და ელდა ეცა. აღშფოთებულმა წამოიძახა:

— როგორ? გუნდი არ უნდა წავიდეს სვერდლოვსკში?

— არა. — მშვიდად უპასუხა თავმჯდომარემ.

— სამი თვეა ვემზადებით, გუნდის წევრები პირველი თანრიგის შედეგებს აღწევენ. ესეც რომ არ იყოს, რა პასუხი გავცეთ ცურვის საკავშირო ფედერაციას?

— მაგაზე მე ვიზრუნებ გუნდის მწვრთნელებსა და წევრებს გადაეცით ჩემი მადლობა ნაყოფიერი მუშაობისა და მაღალი შედეგებისთვის.

— მე მაინც მითხარით მიზეზი.

— მუსასტიკოვ! შენ გეოგრაფია იცი?

— სკოლაში ყოველთვის უმაღლესი ნიშანი მქონდა.

იხ. მე-4 გვ.



იაპონური ფინალები

ტოკიო. როგორც იტარ-ტასის კორესპონდენტი იაპონიის დედაქალაქიდან იუწყება, ძიუდოისტთა იქ დამთავრებულ საერთაშორისო ტურნირზე აბსოლუტურ კატეგორიაში ბელგიელმა ჰარი ვან ბარნევერდმა იმარჯვა. ფინალში მან ბარსელონაში ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი, იაპონელი ნაოია ოგავა დაამარცხა. მესამე ადგილი გერმანელმა ფრანკ მილერმა და რუსმა სერგეი კოსოროტოვმა გაინაწილეს.

დაბალ წონებში ფინალური ორთაბრძოლები წმინდა იაპონური იყო. 60 კგ-ში ტადაში იტაკუზამ კაცუნორი კიმურუს აჯობა, 65-ში კენჯი მარუიამამ — მასაიკო რკუმუს, 71-ში — დაიუსუკე ხიდეიმამ ხიდეუკი საკაის მოუგო.

0,5

ასეთი მინიმალურია სხვაობა ევროპის ჩემპიონის უკრაინისა და მეორე პრიზიორის საქართველოს ქალთა გუნდებს შორის კონტინენტის მოჭადრაკეთა გუნდურ პირველობაზე, რომელიც დებრეცენში დამთავრდა — გამარჯვებულებმა 9 ტურში (18 შესაძლებლიდან) 13,5 ქულა მოაგროვეს, ჩვენებმა — 0,5 ქულით ნაკლები. არადა, შეიძლებოდა, საქართველოს ფაქტობრივად მეორე ნაკრებს გაემეორებინა მიღწევა პირველი ნაკრებისა, რომელმაც წელს ოლიმპიადა ანუ მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი მოიგო. ბოლო 4 ტურში ნინო გურიელმა და ორმა ქეთევანმა — არახამიამ და კახიანმა 8 შესაძლებლიდან 5,5 ქულა შემატეს ადრინდელ ნადავლს, როცა მეექვსე ტურში ესტონელები დაამარცხეს ანგარიშით 1,5:0,5 (არახამიამ სძლია მეტოქეს, კახიანი—დაუზავდა), მეშვიდე ტურში ასეთივე ანგარიშით აჯობეს რუმინელებს (არახამია — ყაიმი, გურიელი — მოგება) და ბოლოს, IX ტურში — ისრაელის ნაკრებს (არახამია — მოგება, გურიელი — ყაიმი). საკმარისი იყო ჩვენს გოგოებს პოლონელებთანაც ემარჯვათ (მატჩი ფრედ — 1:1 დამთავრდა), რომ ჩემპიონებად დაგვბრუნებოდნენ, რადგან მათ უკრაინელებთან პირადი დუელი მოგებული ჰქონდათ, ჩემპიონატის მესამე პრიზიორია აზერბაიჯანის გუნდი — 12,5 ქულა.

რაც შეეხება ვაჟებს, ბოლო ტურში მათ ასე იასპარეზეს: ესპანელებთან — 3:1 (ზურაბ სტურუა და გია გიორგაძე — ყაიმი, ხვიჩა სუპატაშვილი და გიორგი ყაჭეიშვილი — მოგება), ნიდერლანდელებთან — 2,5:1,5 (სტურუა — მოგება, ლაშა ჯანჯღავა, სუპატაშვილი, ყაჭეიშვილი — ყაიმი), ხორვატებთან — 2:2 (სტურუა — მოგება, სუპატაშვილი — წაგება, გიორგაძე, ყაჭეიშვილი — ყაიმი), და ბოლოს, IX ტურში რუსეთის გუნდთან — 1,5:2,5 (გიორგაძე დაუზავდა გარი კასპაროვს, მეტოქეებს დაუზავდნენ, აგრეთვე, სუპატაშვილი და ყაჭეიშვილი, ჯანჯღავა დამარცხდა). საბოლოოდ—20 ქულა და მე-[illegible] ადგილი. ჩემპიონია რუსეთის ნაკრები — 25 ქულა.



დასრულდა საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ჩემპიონატის პირველი ტურის პირველი წრე. კიდევ ერთხელ ვიტყვით: ვერის ბაღის კალათბურთის სასახლეში მოსული მაყურებელი თამაშებით უკმაყოფილო არ დარჩენილა. სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ წლევანდელი ჩემპიონატის მაღალ დონეს. ყოველ მატჩში, მძაფრი ბრძოლებია. შეჯიბრებას ემსახურებიან გამოცდილი მსაჯები: როლანდ ხომერიკი, გიორგი ავალიშვილი, მურმან ქურიძე, როლანდ გელოვანი...

ქებას იმსახურებს თბილისის „მართვე“. ამ ახალგაზრდულ გუნდში თამაშობენ მ. კეკელიძის სახელობის კალათბურთის სპეციალიზებული სკოლის აღსაზრდელები, რომლებიც სათამაშო კლასით თუ ტექნიკით ტოლს არავის უდებენ..

რუსთავის „აზოტმა“ კარგი სტარტის შემდეგ რამდენიმე მატჩი დათმო და მე-4 ადგილზე გადაინაცვლა. აშკარად რთულ მდგომარეობაშია თბილისის „დინამო“, რომელიც, ფაქტობრივად, ცენტრალური თავდამსხმელის გარეშე ასპარეზობს, მიუხედავად ამისა, ორი დამარცხების შემდეგ იგი მესამე ადგილზეა. „ვითა“ კი აღმავლობით თამაშობს — პირველი მარცხი მხოლოდ ტურის ბოლო დღეს „იგემა“ თბილისის „დინამოსთან“. „მერანში“ გამოცდილ კალათბურთელებთან ერთად ახალგაზრდებიც ასპარეზობენ. ეს ხმაშეწყობილი, მეგობრული გუნდი მეორე ადგილზეა. რაც შეეხება აუტსაიდერს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს: განახლებულ და გაახალგაზრდავებულ კოლექტივს, ძნელია მოსთხოვო მაღალი შედეგები.

ტურის ბოლ დღეს ასოციაცია „გავაზმა“ დააწესა ფულადი ჯილდო 10 ათასი მანეთი გამარჯვებისკენ სწრაფვისთვის, რომელიც სოხუმელთა გუნდს გადასცეს.

ყოველივე ამასთან უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ძალზე მომრავლდა ტექნიკური ჯარიმები. გუნდებს ჩატარებული აქვთ 10-10 შეხვედრა, მსაჯებმა კი ტექნიკური ჯარიმა 22-ჯერ (!) დააფიქსირეს (არასპორტული საქციელისა და მსაჯებთან კამათისთვის). ეს გარემოება, თქმა არ უნდა, გულსატკენია.

მეორე ტურის შეხვედრები დაიწყება 5 დეკემბერს.

ტექნიკური შედეგები

25 ნოემბერი. სტუ-სწს — „შევარდენი“ 70:66 (34:42), თსუ — „სოხუმი-91“ — 92:94 (33:36), „რიონი“ — „ვითა“ 78:113 (38:54), „დინამო“ — „მერანი“ 91:94 (55:38).

27 ნოემბერი. სტუ-სწს — „სოხუმი-91“ — 87:84 (45:40), სამტრედია — „მერანი“ 54:103 (30:49), „რიონი“ — „მართვე“ 72:88 (33:41), თსუ — „შევარდენი“ 78:86 (44:50), „აზოტი“ — „ვითა“ 79:109 (44:50).

28 ნოემბერი. „რიონი“ — „შევარდენი“ 77:93 (39:50), სამტრედია — „სოხუმი-91“ 96:87 (44:52), თსუ — „ვითა“ 59:78 (52:40), „დინამო“ — „მართვე“ 112:103 (62:49), „აზოტი“ — „მერანი“ 70:86 (31:45).

29 ნოემბერი. თსუ — „მართვე“ 61:89 (30:44), სამტრედია — „შევარდენი“ 80:89 (36:39), „აზოტი“— „სოხუმი-91“ 95:82 (47:45), სტუ-სწს — „მერანი“ 95:96 (42:43), „დინამო“ — „ვითა“ 102:93 (57:36).

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ქ.
„ვითა“	10	9	1	19
„მერანი“	10	9	1	19
„დინამო“	10	8	2	18
„აზოტი“ (რუსთ.)	10	6	4	16
„მართვე“	10	6	4	16
„შევარდენი“	10	5	5	15
„რიონი“ (ქუთ.)	10	5	5	15
სტუ-სწს	10	4	6	14
სამტრედია	10	2	8	12
„სოხუმი-91“	10	0	10	10
თსუ	10	0	10	10

დაგვიბრუნე გვირგვინი, ნანა!

დასასრული

ნელ ხანს შევიტყვეთ, რომ საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა კამპომანესმა შეცვალა გადაწყვეტილება — მისი აზრით, საჭიროა გამოინახოს ღონიერი სპონსორი, ეს კი დროს მოითხოვს. როგორ ფიქრობთ, ნამდვილად ესაა მიზეზი? თუ არა, რა იცით, სად და როდის გაიმართება თქვენი მატჩი პოლგართან?

— როგორც ფინალურ მატჩში ჩემმა მომავალმა მეტოქემ პოლგარმა პირადად მითხრა, ჩვენი დუელი თებერვლის მეორე ნახევარში შეიძლება დაიწყოს მონაკოში ან ესპანეთში, ეს დამოკიდებულია იმაზე, სად უფრო ძლიერი სპონსორი აღმოჩნდება. თვითონ პოლგარს შესანიშნავი სპონსორი ჰყავს. მე, როგორც წესი, ერთი თვით ადრე უნდა ვიცოდე, სად და როდიდან მომიწევს ბრძოლაში ჩაბმა.

● **თქვენთვის ხელსაყრელი თუ იქნება მატჩის მოგვიანებით დაწყება?**

— რა თქმა უნდა, მეტი დრო მრჩება მოსამზადებლად.

● **როგორია თქვენი ბალანსი ჟუჟა პოლგართან?**

— ჟუჟას სულ ორჯერ შევხვდი და ისიც მანილაში. პირველი პარტია პირველი წრის ფინიშზე რომ გამართულიყო, ალბათ არ წავაგებდი, რადგან უკვე ფორმაში შევედი. მეორე წრის პარტიაში კი, როგორც იცით, ყაიმზე შევთანხმდით. ჟუჟა შესანიშნავადაა მომზადებული, მაგრამ სულაც არ არის ის მოჭადრაკე, რომლის დამარცხება შეუძლებელია.

● **თქვენი პროგნოზი მომავალ მატჩზე.**

— პროგნოზი ძნელი საქმეა. პოლგარი პროფესიონალი მოჭადრაკეა, რომელიც მხოლოდ ჭადრაკზე ფიქრობს. მის ქვეყანაში სიწყნარეა, მე კი, ამ სიკეთეს ჯერჯერობით მოკლებული ვარ, მაგრამ მაინც, მინდა კარგად მოვემზადო. ვიცი, იოლი ბრძოლა არ მელის. ვეცდები, ღირსეულად გამოვიდე.

● **საქართველოს სპორტის კომიტეტი ალბათ რესპუბლიკურ ფედერაციასთან ერთად ამუშავებს მატჩისთვის თქვენი მზადების გეგმას, სადაც გათვალისწინებული იქნება ყველა წვრილმანი, ეს გასაგებიცაა: ყველას გვინდა საქართველოში დაბრუნდეს დაკარგული მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინი. წვრილმანებზე ნუ ვისაუბრებთ, მაგრამ გვითხარით, რა არის მთავარი თქვენი სათანადო მომზადებისთვის...**

— ეს ჩანაფიქრი ჩემთვისაც ცნობილია. მზადებისთვის მთავარია ხელსაყრელი ადგილის შერჩევა, სადაც ნაყოფიერი წვრთნის ყველა პირობა მექნება. საქართველო გამორიცხულია. სპორტსაზოგადოება „შევარდენისა“ და თბილისელი საერთაშორისო ოსტატის იგორ ეფიმოვის მიმართ მადლობის მეტი რა მეთქმის — კარგად მეხმარებოდა მანილის ტურნირისთვის სამზადისში, მაგრამ მის გარდა საჭიროა მეორე სპეციალისტი, ასეთი კი დღევანდელ მშფოთვარე საქართველოში არ ჩამოვა.

● **წარმატებას გისურვებთ. მომავალ მატჩში.**

— დიდი მადლობა.

ესაუბრა
ო. ივდოშვილი.

საქართველოს მინიფეხბურთელები ფიფას და უეფას გზით



თბილისში შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის მინიფეხბურთის ასოციაცია, რომლის უპირველესი მიზანია უახლოეს მომავალში ჩვენი გუნდები ჩართოს ფიფასა და უეფას ეგიდით ჩატარებულ ტურნირებში. ასოციაცია გამართავს შეჯიბრებებს, როგორც პროფესიონალ, ისე მოყვარულ ფეხბურთელთა შორის.

გაწვდით 1992 წლის კომერციული ტურნირების კალენდარს:

1. თბილისის ღია პირველობა სპორტსკოლებსა და კლუბებს შორის. 7-11 დეკემბერი;

2. თბილისის უმაღლესი სასწავლებლების ჩემპიონატი. 14-20 დეკემბერი;

3. თბილისის ჩემპიონატი უბნებს შორის, 21-27 დეკემბერი.

ასოციაციაში გაწევრიანების მსურველებს დაწვრილებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ მოგვმართოთ მისამართზე:

უნივერსიტეტის ქ. № 6, სპორტკომპლექსი „იმედი“ (ყოფილი „ქარიშხალა“), საკონტაქტო ტელეფონი: 39-62-67.

საქართველოს მინიფეხბურთის ასოციაცია.

კიდევ ერთი ლეგენდა

ქუთაისში, წითელი ხიდის ახლოს, რიონის პირზე ცირკის შენობა იდგა, სადაც წინასწარ იყიდებოდა ბილეთები წარმოდგენებზე. განსაკუთრებული ხალხმრავლობა იყო, როცა არენაზე ქუთათურთა უძლეველი ფალავანი მიშიკო ბაბალიკაშვილი გამოდიოდა.

ლეგენდარული სანდრო კანდელაკის თანამედროვე მიშიკო, ანუ შინაურულად ბინიკო ბაბალიკაშვილი, პროფესიონალი მოჭიდავე გახლდათ. ხშირად ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ასპარეზობდა.

თბილისის ცირკში ბევრჯერ უსახელებია თავი ამ გოლიათს. ღირსეული გამარჯვებებით ახარებდა ბათუმელებსაც.

რიონისპირა ქალაქი წარმოუდგენელია თავისი კოლორიტული ებრაული უბნის გარეშე. აქ დიდ-პატარა გუნდ-გუნდად დასდევდა ხოლმე თავისი თემის კერპს — მიშიკო ბაბალიკაშვილს. მეტწილად ქართველი და ქართველი-ებრაელი ბიჭუნების ოცნება იყო, როგორმე შეეღწიათ ცირკში ბინიკოს ჭიდაობის საცქერლად, არენის წინ რომ დაეკავებინათ ადგილები.

ბინიკოც არ აწბილებდა გულშემატკივრებს. ცირკის წრეში მას დაუმარცხებია ცნობილი ფალავნები: გოლუბი, ჩურკინი, ზაგარიუკო, ბოგუნი, მედვედევი, ხერცი, ვინოგრადოვი და სხვები. ბინიკოსთან ერთად ხშირად გამოდიოდა სიმძიმეების აწევის სახალხო ოსტატი კახეთელიძე. მიშიკო ბაბალიკაშვილი საკმაოდ დიდხანს, 50 წლის ასაკამდე, პაექრობდა ხალიჩაზე.

ერთხელ შავკანიან ნილბოსან მოჭიდავეს ქუთაისელ გოლიათთან შეხვედრის წინ ქონი წაუსვამს ტანზე. მიშიკოს ხერხი რომ ვერ უხმარია, ამდგარა და მეტოქის მაჯა დაუჭერია. ისეთი ღონით მოუჭერია ხელი მაჯაში, რომ ნილბოსანს, დღევანდელი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ხელი გათიშვია და დანებებულა. საკუთარი ავტომობილი (ერთ-ერთ პირველს მიშიკოს ყავდა ქუთაისში ავტომანქანა) საჭიროებისამებრ ხშირად გადაუადგილებია ხელით.

მიშიკოს ზღაპრულ ძალაზე ქუთაისში მრავალი ლეგენდა იყო შეთხზული. ჰყვებიან ანეგდოტებსაც. დღესაც ცოცხალია ხალხი, ვისაც ახსოვს მიშიკო ბაბალიკაშვილის ჭიდაობა.

პროფესიონალი მოჭიდავე მიხეილ ბაბალიკაშვილი 1967 წელს, 57 წლისა გარდაიცვალა.

გაბრიელ გარჯაძე

ცუდად ამოიღეს მიზანში

„ლელოს“ ერთ-ერთ ბოლო ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ ორმა ბრიტანელმა ჟურნალისტმა — ვ. სიმპსონმა და ე. ჯენინგსმა თავიანთ გახმაურებულ წიგნში „რგოლების ღმერთები“ სერიოზული ბრალდებები წაუყენეს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს და მის პრეზიდენტს ხუან ანტონიო სამარანჩს. ჩვენ ვიუწყებოდით იმასაც, რომ სამარანჩმა წიგნის ავტორებს სასამართლოში უჩივლა ცილისწამებისთვის. ახლა უფრო დაწვრილებით წიგნის ავტორთა მოსაზრებებზე.

...სოკი და მისი პრეზიდენტი პატიოსანი ბრძოლის იდეალებს სცნობენ მხოლოდ ქაღალდზე. სინამდვილეში ოლიმპიადა მათ კომერციულ საქმედ აქციეს და საკმაოდ დიდ მოგებას იღებენ.

...სამარანჩი მხარს უჭერდა ფრანკოს ამ უკანასკნელის 36-წლიანი დიქტატურის პერიოდში. სამარანჩი, ავტორთა აზრით, პოლიტიკური ოპორტუნისტია, რომელიც ფრანკოსთან თანამშრომლობდა შეგნებულად, რათა წინ წაეწია მთავრობის იერარქიულ საფეხურზე.

დასავლეთის პრესა გაკვირვებულია, რით გააბოროტა სოკის პრეზიდენტმა ეს ჟურნალისტები. მაგრამ პრესა უფრო მეტად სამარანჩის საპასუხო სვლამ განაცვიფრა, ვინაიდან მისი საჩივარი ერთი-ათად ზრდის წიგნისადმი ინტერესს. წიგნის ასეთ რეკლამას ავტორები ალბათ ვერც ინატრებდნენ.

მიმომხილველების აზრით, ისტორია სამარანჩის ფრანკისტულ წარსულზე სრულებითაც არ არის სიახლე. სამარანჩის ასაკის თითქმის ყველა ბიზნესმენი ესპანეთში მეტნაკლებად „უგორებდა კოჭს“ ფრანკოს. სხვაგვარად არც შეიძლებოდა, სხვაგვარად იერარქიულ საფეხურზე საჭირო ადგილს ვერ დაიკავებდით.

წიგნის ავტორები კი განაგრძობენ:

...სამარანჩი საოცრად ამბიციური კაცია. იგი კარგად იყენებს ნათესაურ კავშირებს თავისი ფინანსური ძლიერების განსამტკიცებლად და კარიერისტული მიზნებისთვის (მიმომხილველის შენიშვნა: ამ ბრალდებებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის კრიტერიუმად თუ მივიღებთ, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში არავინ დარჩება უდანაშაულო).

...სამარანჩმა და მისმა დამქაშებმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი პოლიტიკურ ორგანიზაციად აქციეს, რაც ძირშივე ეწინააღმდეგება ოლიმპიურ ქარტიას და ოლიმპიზმის იდეას.

...საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრები უხვად და დაუფარავად იღებენ ძღვენს ოლიმპიადების ორგანიზატორი ქალაქებისგან კენჭისყრის დროს. ისინი „ბატონებივით“ ცხოვრობენ ხუთვარსკვლავიან სასტუმროებში.

...ოლიმპიური თამაშები, პირველ რიგში, დიდი ბიზნესია და მხოლოდ ამის შემდეგ — სპორტი. სამარანჩმა თავის პოსტს ზაკულისო ინტრიგებით მიაღწია...

მიმომხილველები ბევრ ბრალდებას მიამიტურს უწოდებენ, თუმცა, მათი აზრით, ამ ბრალდებებს შეუძლიათ ბევრი უსიამოვნება მოუტანონ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს.

რაც შეეხება სამარანჩს, იგი მშვიდად აგრძელებს ფინანსურ საქმიანობას, როგორც თვითონ ამბობს, სოკის სალაროს საკეთილდღეოდ. ამ დღეებში „კოკა-კოლას“ კომპანიამ თანხმობა განაცხადა გადაუხადოს სოკს 45 მილიონი დოლარი, რათა მსოფლიოს 160 ქვეყანას უჩვენოს თავისი მჭიდრო კავშირი ატლანტის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტთან.

ამ თამაშების სპონსორობა გადაწყვიტა „კოდაკის“ საქვეყნოდ ცნობილმა ფირმამაც. 1984 წელს მან ეს უფლება დაუთმო მოქიშპე კომპანიას — „ფუჯი ფოტო ფილმს“, ვინაიდან 9 მილიონი დოლარის გადახდა ეძვირა. ახლა „კოდაკი“ სამარანჩის უწყებას ლილეჰამერის ზამთრისა და ატლანტის ზაფხულის ოლიმპიადების სპონსორობისთვის 45 მილიონ დოლარს უხდის. აი, როგორ იცვლება დროება.

არადა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საქმიანობას დროგამოშვებით აკრიტიკებს გერმანიის პარლამენტიც. თავის ერთ-ერთ ბოლო სხდომაზე ოლიმპიურ თამაშებს მან „მამონტისდარი“ ღონისძიება უწოდა, რომელიც სპორტული სანახაობიდან კომერციულ შოუდ იქცა. პარლამენტი ადანაშაულებს სოკის პრეზიდენტსაც, რომელსაც „სხვა არაფერი აინტერესებს ამ ქვეყნად, ოლიმპიური უფლებით ვაჭრობის გარდა“. ეს იმ დროს, როცა პარლამენტის აზრით, მსოფლიო სპორტი დოპინგის ჭაობშია ჩაფლული.

ფეხბურთის ტრფიალი

(დასასრული)

— ძალიან კარგი, მაშ ქალაქი ქერჩი გეცოდინება.

— ქერჩი გმირი ქალაქია, ყირიმის ოლქში, ქერჩის სრუტის მარცხენა ნაპირას. ანტიკურ ხანაში მის ადგილას იდგა ქალაქი ბოსფორი, შემდეგ პონტოს სამეფოს დედაქალაქი პანთიკაპეია, ერთ-ერთ უძველეს ხელნაწერში აღნიშნულია ქალაქი „კრჩევი". უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს არის დღევანდელი ქერჩის წინაპარი.

— ყოჩაღ, მუსასტიკოვ, ფრიადი გეოგრაფიაში! ახლა ისიც მითხარი, რით არის მნიშვნელოვანი იგი საქართველოსთვის?

აქ კი დაიბნა მუსასტიკოვი. უმწეო აბიტურიენტივით აცეცებდა თვალებს:

— გმირ ქალაქებს ერთმანეთთან ძმური კავშირი აქვთ.

— ეგ აგიტაციაა. არ იცი, ეს შენს წარმოდგენილ საბუთებსაც ეტყობა.

— შეცდომა ნახეთ?

— მომაკვდინებელი, მუსასტიკოვ! შენ ხარ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მწვრთნელი საწყლოსნო სახეობებში, შენი უპირველესი მოვალეობაა ცურვა შეასწავლო მასას, ძირითად მოსახლეობას, ქართველ გოგო-ბიჭებს, რათა კიდევ არ განმეორდეს ქერჩის ტრაგედია. შენ ქერჩის ისტორია კარგად გცოდნია, მაგრამ არ იცი, რომ სრუტის ორივე ნაპირზე 1000-ზე მეტი ქართველია დასაფლავებული. არც ერთ მათგანს გერმანელის ტყვია არ მოხვედრია — სრუტეში ჩაიხრჩო, ნაპირთან ახლოს. მათ ცურვა რომ სცოდნოდათ, ნაპირს მიაღწევდნენ. ამის შემდეგ შენ მოგაქვს სვერდლოვსკში გასამგზავრებელი საქართველოს ნაკრები გუნდის სია და 44 სპორტსმენში ერთია ქართველი. აბა რას იტყვი?

— გიორგი ვასილიევიჩ, რა ვქნა, არ მოდიან...

— მეორე შეცდომა. ისინი არ მოდიან? შენ უნდა მიხვიდე, უნდა მოიზიდო, მაგრამ თქვენ ეს ხელს არ გაძლევთ, ქართველ ბავშვებს ხომ ქართულად უნდა ელაპარაკო. სიაში ხუთი მწვრთნელის გვარი წერია. დარწმუნებული ვარ, როგორც შენ, იმათაც არ იციან ქართული...

ფეხშიშველა ფეხბურთი

სტალინი ახალი გარდაცვლილი იყო, ნიკიტა ხრუშჩოვმა ერთი ხელის დაკვრით მოინდომა ამხელა სახელმწიფოს გარდაქმნა. რღვევა უწყებათა გაერთიანებით, გაუქმებით, ახლების ჩამოყალიბებით დაიწყო. მალე ჯერი სპორტკომიტეტებზე მიდგა. ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, იგი ჯანმრთელობის სამინისტროს შეუერთეს მთელი თავისი ატრიბუტებით. ასე გახდა ჩვენი თავმჯდომარე (მაშინ ბ. კვინიხიძე იყო) საქართველოს ჯანმრთელობის მინისტრის მოადგილე.

იმ წლებში სარკმელი კი არა, ჭიშკარი გაიღო ევროპაში და მოძალდა საზღვარგარეთის გუნდები — ვინ არ გვეწვია: ამერიკელი, ჩინელი და ფრანგი კალათბურთელები, უნგრელი ტანმოვარჯიშეები, ჰოლანდიელი ნიჩბოსნები, ბულგარელი, ჩეხი, რუმინელი მოჭიდავეები და, რასაკვირველია, ფეხბურთელები — ბრაზილიიდან „ატლეტიკო პორტუგეზა", ინგლისიდან — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი", გერმანიიდან — „ფორვერტსი", საფრანგეთის გუნდი ევროპაში სახელგანთქმული ფეხბურთელებით — კოპათი და ფონტენით... კვირა ისე არ ჩაივლიდა, „დინამოს" სტადიონზე საერთაშორისო მატჩი რომ არ გამართულიყო...

აი, ასეთი საფეხბურთო ციებცხელების დროს მოსკოვიდან შეგვატყობინეს, რომ 1953 წლის 22 აგვისტოს თბილისში ჩამოდიოდა დასავლეთ ბენგალიის, კერძოდ, კალკუტის ფეხბურთელთა კლუბი „ისტ ბენგალ კლაბი". სტუმრებს დავხვდით, დავაბინავეთ. სხვათა შორის, დასვენებაზე უარი თქვეს — სტადიონი გვაჩვენეთ, უნდა ვივარჯიშოთო. მათი თხოვნით, ვარჯიშის დროს საიმედოდ დაგმანეს ტრიბუნებზე გასასვლელი ყველა კარი.

ეს უჩვეულო ამბავი იყო თბილისელებისთვის.

ბენგალიის, ისიც მხოლოდ დასავლეთის ნაკრები რას წარმოადგენდა, როდესაც გულშემატკივრები „ალბიონის" გუნდის წვრთნას ესწრებოდნენ. მაგრამ სტუმრების სურვილი ჩვენში ხომ კანონია. მერე გავიგეთ, რომ კართა ჩაკეტვა საკავშირო ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომლის იური კაზაკოვის ახირება ყოფილა. იგი ინდოელებთან კონსულტანტად მიავლინა ფეხბურთის საკავშირო ფედერაციამ. იური ერთი ყოყლოჩინა, ცხვირბზეკია ვინმე იყო. ტრაბახით აგვიკლო: მოსკოვის „სპარტაკის" საიმედო დუბლი ვიყავი, მერე თირკმელები ამტკივდა და ფეხბურთს თავი დავანებე, ფედერაციაში ვმუშაობო. რაკი მას ინდოელთა კონსულტანტობა ანდეს, გაიბღინძა, თავი მთელი ინდოეთის მაჰარაჯად წარმოიდგინა.

1969 წლის 16 ივლისი. ურუგვაის ცნობილ კლუბ „ნასიონალთან" ამხანაგური შეხვედრის დროს დიდი ფეხბურთიდან გააცილეს ტყავის ბურთის ბრწყინვალე ოსტატი მიხეილ მესხი. სურათზე სწორედ ის მომენტია აღბეჭდილი თბილისის „ბურევესტნიკის" სტადიონზე. გიორგი სიხარულიძე სამახსოვრო ჯილდოს გადასცემს მიხეილ მესხს. მესხის თანაგუნდელებიდან ფოტოზე ჩანან ხლავა მეტრეველი, რევაზ ძოძუაშვილი, გურამ პეტრიაშვილი, ალიკ ილიადი, გოჩა გავაშელი...

ფოტო „ლელოს" არქივიდან.

ინდოელები ვარჯიშიდან სასტუმრო „ორიანტში" ბრუნდებოდნენ, ისადილებდნენ და რუსთაველის პროსპექტს მოედებოდნენ ხოლმე, მათ წინ მიუძღოდათ გუნდის უფროსი ჩანდრა ტიოტიშ გუხა, რომელსაც თავზე ყვითელი ჩალმა ეხურა უკან გადაგდებული გრძელი ფოჩით, ტანთ ეცვა მწვანე ფერის მოლაპლაპე ქსოვილის კოსტუმი.

მოსკოველი კონსულტანტის მკაცრი მოთხოვნების მიუხედავად, თბილისელი ქომაგები მაინც ახერხებდნენ სტადიონზე შეპარვას და ვარჯიშზე დასწრებას. ასე გაიგეს მათ, რომ ინდოელთა მარჯვენა გარემარბი მენკატეში ტომით სომეხი ყოფილა. ამან ერთიორად გაზარდა მატჩზე დასწრების მსურველთა რიცხვი. ყველა რჯულის გულშემატკივრით აივსო თბილისის „დინამოს" სტადიონის ტრიბუნები მატჩის დღეს, 26 აგვისტოს.

ჩემი წარმოდგენა ინდოეთზე დილეტანტური იყო: ვიცოდი, რომ ერეკლე მეფის წყალობით აზნაურმა რაფიელ დანიბეგაშვილმა სამჯერ იმოგზაურა იმ ქვეყანაში და თავის შთაბეჭდილებათა აღწერა დაგვიტოვა; ვიცოდი, რომ ინდოეთის ჯუნგლები სავსე იყო სპილოებით, თუთიყუშებით, ვეფხვებით, ქვეყნის ჩრდილოეთით კი ცას მიბჯენილი მწვერვალები დაჰყურებდნენ ამ ხალხმრავალ მხარეს...

სხვათა შორის, მატჩის წინ თბილისს ეწვია ინდოელი კინოვარსკვლავი და რეჟისორი რაჯ კაპური. ჩამოიტანა თავისი ფილმი „ავარა", რამაც თბილისელებში დიდი ინტერესი გამოიწვია. კაპურს ფრიად მოსწონებია ჩვენი დედაქალაქი და განსაკუთრებით... ხაჭაპური, აკი მიულექსეს კიდეც: „თბილისს ხიბლავს რაჯ კაპური, გამოუცხვეთ ხაჭაპური"...

„ისტ ბენგალ კლაბი", ვიდრე თბილისს ეწვეოდა, ბუდაპეშტის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ფესტივალში მონაწილეობდა და მეოთხე ადგილი დაიკავა. სამშობლოში მიმავალმა გზად მოსკოვში შეიარა და საბჭოთა კავშირის თასის მფლობელს, ადგილობრივ „ტორპედოს" ეთამაშა, მას მედგარი წინააღმდეგობა გაუწია და საპატიო ფრეს (3:3) მიაღწია. ამას არ მოელოდნენ საბჭოთა ფეხბურთის მესვეურნი. ასე გალაღებულნი როგორ გაეშვათ სახლში ინდოელები „ტორპედოსთან" ფრეს შემდეგ, ვეღარც სხვა გუნდს ენდნენ. ეს იყო მიზეზი, რომ ინდოელები სამხრეთისკენ გამოისტუმრეს.

თბილისის „დინამო" მაშინ კარგ სპორტულ ფორმაში იყო. საკავშირო პირველობაზე მატჩებს ზედიზედ იგებდა, მტკიცედ იდგა სათავეში გათამაშების ცხრილს და უახლოეს მეტოქეს, „მოსკოვის „სპარტაკს" ორი ქულით უსწრებდა. სამწუხაროდ, შუა სეზონში გუნდის მთავარი მწვრთნელი მიხეილ იაკუშინი გაიწვიეს და მოსკოვის „დინამო" ჩააბარეს. იმ სიტუაციაში ეს თავისებური საფეხბურთო დივერსია იყო: იმედი ჰქონდათ, რომ ამით თბილისის „დინამოს" მორალურ ტრავმას მიაყენებდნენ და მის წინსვლას შეაფერხებდნენ. მაგრამ ასე არ მოხდა. გუნდის ახალმა მწვრთნელმა, ჩვენმა სასიქადულო ფეხბურთელმა ბორის პაიჭაძემ უკვე ჩამოყალიბებულ შემადგენლობასა და თამაშის სტილს ხელი არ ახლო. იმჯერად მისი მიზანი იყო, იაკუშინის წასვლას ფეხბურთელების შეშფოთება არ გამოეწვია და გამარჯვების რწმენა არ დაკარგოდათ.

25 აგვისტოს, ინდოელებთან მატჩის წინა დღეს, შეიკრიბა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია. ფედერაციის თავმჯდომარე მაშინ გიორგი სიხარულიძე იყო. ერთი საკითხი უნდა განეხილათ: როგორ გამოიყურებოდა გუნდი (ბ. პაიჭაძე) და სტადიონი (შ. შავგულიძე) საპასუხისმგებლო მატჩის წინ. პაიჭაძეს ინფორმაცია დამთავრებული არ ჰქონდა, როდესაც ოთახში ტექნიკური მდივანი შემოვიდა და თავმჯდომარეს რაღაც უჩურჩულა.

— ხომ უთხარით, რომ სხდომა გვაქვს?

— მაშ! იმან ეგრე მითხრა: სხდომა შეწყვიტონ, მე უფრო საშური საქმე მაქვსო.

— შემოვიდეს! მერე ჩვენ მოგვიბრუნდა, იური კაზაკოვიაო, გვითხრა.

მოსკოველმა სტუმარმა ფართოდ გააღო კარი და ბოდიშის მოხდის გარეშე სიხარულიძეს მიმართა:

— მე თქვენთან პირისპირ მსურს საუბარი.

სიხარულიძეს ფერმა გადაჰკრა, მარჯვენა თვალი მოჰუტა — ასე იცოდა კრიზისულ მომენტში, მაგრამ არ აფეთქებულა, თავი შეიკავა.

— აქ შეკრებილია ფეხბურთის ფედერაცია. მე მათთან დასამალი არაფერი მაქვს.

— მე მოვითხოვ...

— მაშინ მიბრძანდით მოსაცდელში. სხდომის შემდეგ მოვილაპარაკოთ პირისპირ.

— საქმე ის გახლავთ, რომ...

— კაზაკოვ! — მკაცრად შეაწყვეტინა სიტყვა თავმჯდომარემ — ვიმეორებ! აქ ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციაა შეკრებილი. თუ რამე გაქვთ სათქმელი, თქვით, არადა, მიბრძანდით.

— საქმე ის გახლავთ რომ... — მოტყდა თვითმარქვია მაჰარაჯა, — ინდოელი ფეხბურთელები ხვალ ფეხშიშველნი ითამაშებენ.

— სულ ეს არის თქვენი საიდუმლო? ამას რად სჭირდებოდა კონფიდენციალობა. ფეხშიშველი უნდათ თამაში? ითამაშონ! ჩვენ რა უფლება გვაქვს, წინ აღვუდგეთ. სხვათა შორის, ამით თბილისელებს ვერ გააკვირვებენ.

— საქმე ის არის, რომ... ისინი მოითხოვენ თქვენებმაც ფეხშიშველმა ითამაშონ.

— როგორ თუ ჩვენებმაც! ბასა ღოღობერიძემ მოედანზე იტანტალოს?

— როგორც ვიცი, ინდოელები აქ ჩამოსვლამდე... — თავშეკავებულად აღნიშნა ბორის პაიჭაძემ — მოსკოვის „ტორპედოს" შეხვდნენ. ჩვენ გვაინტერესებს — ივანოვი, სტრელცოვი, მალოვი და სხვები ფეხშიშველნი გამოვიდნენ მოსკოველი მაყურებლის წინაშე?

— მოსკოვი სხვაა. თქვენ შეგიძლიათ უბრძანოთ...

— კაზაკოვ! თქვენ უკვე თავს ხედობთ! როგორ? გოგი ანთაძეს, ზაურ კალოევს, ვოვა ელოშვილს, რეზო მახარაძეს ვუბრძანო ფეხშიშველა თამაში? მერე ხვალ თბილისელებს როგორ შევხედო თვალებში...

— თანახმად შეჯიბრების წესებისა, ორივე გუნდი თანაბარ პირობებში უნდა იყოს, — მაინც თავისაზე იდგა იური კაზაკოვი.

— კაზაკოვ! შენ რაღაცას ეშმაკობ, ეს შენი ინიციატივაა, ეს შენ გინდა, რომ ჩვენ ფეხშიშველებმა ვითამაშოთ, რომ იქნებ წავაგოთ. რას იზამ, ალბათ, ასეთი დავალება აქვს კონსულტანტს. შენ იცი, ბატონო კონსულტანტო, რომ დღეს აფრიკის ტყეებში შემორჩენილი ველურებიც კი ჩეხური კედებით დარბიან? ხვალ „დინამო" მოედანზე გამოვა იმ ფორმით, რომელიც მას აცვია საბჭოთა კავშირის პირველობის მატჩებზე! საკითხი ამოწურულია. მიბრძანდით, მუშაობის გაგრძელების საშუალება მოგვეცით...

• • •

მეორე დღეს მატჩი შედგა. იგი დამთავრდა ანგარიშით 9:1 თბილისელთა სასარგებლოდ. პირველი გოლი ანთაძემ გაიტანა, მეორე — განიძემ, მესამე — მახარაძემ, მეოთხე — კოტრიკაძემ, მეხუთე და მეექვსე — კალოევმა და ა. შ. კაზაკოვი გასასვლელში მარტო იდგა. ყოველი გოლის გატანისას თავში იცემდა მომტირალი ქალივით.

...მატჩის შემდეგ ინდოელებს ბანკეტი გავუმართეთ ფუნიკულიორის პლატოზე, მეორე დღეს კი გავაცილეთ. თვითმფრინავში ჩასხდომის წინ ინტერვიუ ვთხოვე ჩანდრა ტოიტიშ გუხას. უგუნებოდ იყო, არ უნდოდა საუბარი. არ მეგონა, თუ მატჩი ასეთი გამანადგურებელი ანგარიშით დამთავრდებოდაო. კმარა ეგზოტიკა, ფეხშიშველა ფეხბურთით დღეს ვერავის გააკვირვებო. მერე კაზაკოვი მოვიკითხე. წუხელ ბევრი დალია, ძლივს ჩამოვიყვანეთ პლატოდან, ვერ გავაღვიძეთ, დავტოვეთ, ალბათ 12 საათის რეისს გამოჰყვებაო...

ირაკლი უზულავა

ინფორმაცია

● **კეიპტაუნი.** სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გათამაშდა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ჩოგბურთში წყვილთა შორის (ტურნირის საპრიზო ფონდი 1 მილიონი დოლარი იყო). გაიმარჯვეს ავსტრალიელებმა ტოდ ვუდბრიჯმა და მარკ ვუდფორდმა, რომლებმაც ფინალში აჯობეს ანდერს იარიდის (შვეცია) და ჯონ ფიტცჯერალდის (ავსტრალია) ინტერნაციონალურ წყვილს — 6:2, 7:6, 5:7, 3:6, 6:3.

● **ზაგრები.** მსოფლიოს მეხუთე ჩოგანმა ბორის ბეკერმა დაამარცხა მასზე ერთი საფეხურით მაღლა მდგომი ხორვატი ჩოგბურთელი გორან ივანიშევიჩი — 6:3, 3:6, 7:6. ეს შეხვედრა საქველმოქმედო იყო: მთელი შემოსავალი გადაირიცხა ომში დაზარალებულ ბავშვთა დახმარების ფონდში.

● **ბერლინი.** წარმატებით დაიწყო საციგურაო სეზონი ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონმა, გერმანელმა გუნდა ნიმანმა. საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელიც, ამავე დროს, მსოფლიო თასის ერთ-ერთ ეტაპს წარმოადგენდა, ორ დისტანციაზე (1500 და 3000 მ) საუკეთესო შედეგები აჩვენა, თანაც 3 კილომეტრზე საციგურაოს რეკორდი დაამყარა — 4.19,09.

● **ტაუპლიცი.** ავსტრიის ამ ზამთრის კურორტზე სეზონი გახსნეს მოთხილამურეებმა, რბოლა 7,5 კილომეტრზე კლასიკური სტილით შეჯიბრების მასპინძელმა ალოის შტადლობერმა მოიგო — 21.28,5.

● **სესტრიერი (იტალია).** სლალომისტთა მსოფლიო თასის მეორე ეტაპზე იტალიელმა მოთხილამურემ ფაბრიციო ტესკარიმ ორი ცდის ჯამში საუკეთესო შედეგი აჩვენა — 1.58,48. მან 0,38 წამით აჯობა ავსტრიელ მიჰაელ ტრიშერს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ პირველი ცდის შემდეგ წინ იყო იტალიელი სლალომისტი ალბერტო ტომბა, მაგრამ მეორე ცდაზე დაეცა და გამოეთიშა ასპარეზობას.

● **მილანი.** ფრენბურთელთა გუნდების მსოფლიო თასის ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან იტალიური კლუბები „სისლეი" (ტრევიზო) და „მისურა" (მილანი). ნახევარფინალში „სისლეიმ" აჯობა რავენის „მესაჯეროს", „მისურამ" კი საბერძნეთის „ოლიმპიაკოსი" დაამარცხა.

◆ ◆ ◆

„სპორტპროგნოზი"

47-ე ტირაჟის შედეგები

13 შედეგი — 56.540 მანეთი;
12 შედეგი— 2.382 მანეთი;
11 შედეგი — 659 მანეთი.

48-ე ტირაჟი

1—1, 2—1, 3—X, 4—X, 5—1, 6—2, 7—1, 8—1, 9—1, 10—2, 11—2, 12—X, 13—1.

„სპორტლოტო"

48-ე ტირაჟები

„6 45": 7. 20. 27. 29. 40. 43.
„5 36": 6. 7. 22. 30. 31.
„6 56": 3. 6. 11. 24. 40. 49. 50.

47-ე ტირაჟების შედეგები

„6 45":
6 ნომერი — 0;
5 ნომერი — 19.438 მანეთი;
4 ნომერი — 695 მანეთი.

„5 36"
5 ნომერი — 489.736 მანეთი;
4 ნომერი — 2.162 მანეთი;
3 ნომერი — 106 მანეთი.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

პირველად 16 გუნდით



ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში ვაჟთა შორის გაიმართება 1993 წლის 23 ივნისს-4 ივლისს გერმანიაში. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ევროპის კალათბურთის ფედერაციის აღმასკომმა გასულ კვირას გამართულ სხდომაზე.

ჩემპიონატში პირველად ისპარეზებს 16 გუნდი. 12 ფინალისტის ვინაობა, მოგეხსენებათ, უკვე ცნობილია. ესენია: იტალიის, ესპანეთის, საფრანგეთის, იუგოსლავიის, თურქეთის, ბელგიის, ისრაელის, გერმანიის, ბულგარეთის, რუსეთის, საბერძნეთისა და შვეციის გუნდები. დანარჩენ ოთხ მონაწილეს გამოავლენს დამატებითი ტურნირი, რომლის ჩატარება ნავარაუდევია ზაგრებში, 30 მაისს-6 ივნისს. მასში მონაწილეობას მიიღებენ შესარჩევ ჯგუფებში მესამე ადგილებზე გასული ქვეყნები — ჩეხოსლოვაკეთი, ინგლისი, პოლონეთი, რუმინეთი, აგრეთვე, ბარსელონაში ოლიმპიადის ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორები: ხორვატიისა და ლიტვის კოლექტივები.

საქართველოს რესპუბლიკის მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი" თანაუგრძნობს უშანგ ჭიჭინაძეს დედის გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, მ. კოსტავას, 14, ☎ ტელ.: 99-58-47, 99-31-71. ინდექსი 66485 INDEX დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბაში.